საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე მესვეტე

იოანე მესვეტე

იოანე მესვეტე, XI ს. ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა ჭყონდიდში (მარტვილი). 1031 გადაწერა ჰაგიოგრაფიული კრებული. 1050 მონაწილეობდა მარტვილის ოთხთავის გადაწერაში. ჰაგიოგრაფიული კრებ. (17, 3 სმ × 12,2 სმ, 117 ფურცელი) ნაწერია ყავისფერი მელნით ერთ სვეტად, კუთხოვანი ნუსხურით. ასოები ნუსხურისთვის ძალიან მსხვილია. სინგურით ნაწერი სათაურები მთავრულია. წიგნის გაფორმება მარტივი და უპრეტენზიოა. მარტვილის ოთხთავის (29 სმ×19 სმ, ეტრატი) მეორე ნაწილიც (133 ფურცელი) ი. მ-ს ეკუთვნის. ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად, სეპიისფერი მელნით. გადაწერაში ვინმე არსენიც მონაწილეობდა, შესაძლებელია, მოჩუქურთმებული საზედაო ასოები მისი შესრულებული იყოს.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; შ მ ე რ ლ ი ნ გ ი რ., ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები (ალბომი), თბ., 1940.

ვ. ბერიძე